



თვითმმართველი თემი
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 96

„02“ ოქტომბერი 2015 წელი

გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე
თანხმობის მიცემის შესახებ

„გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

1. გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებელს მიეცეს თანხმობა თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობაში არსებული ტულატების დაზიანებული საკანალიზაციო სისტემის მოწესრიგების და ამავე შენობაში მდებარე ამ საკანალიზაციო სისტემისგან დაზიანებული ფინანსური პოლიციის ტულეტის ჭერის შეკეთების სამუშაოები განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 1014 ლარს.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (ქ.თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი №41).

საკრებულოს თავმჯდომარე



პაატა გიორგობიანი